№ 55 16 მარტი, ხუთშაბათი 1866—1878 16 მარტი, ხუთშაბათი № 55

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловის სახლში, № 8.

ქანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება ქანტორაში. Барнеше მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1878 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოდის იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагвовъ სახლებში).

ბ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8	მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა	4	„	50 „
ოთხის თვისა	3	„	„ „

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერებსა და აგენტებს: ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი; თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

ტელეგრამები

პარიჟი, 14 (24) მარტს. გაზეთის „Temps“-ის აზრითკონგრესსი არ შესდგება, რადგან ინგლისი უარს ამბობს, რომ იმაში მონაწილეობა მიიღოს.

საფრანგეთმაც თავიდამვე გამოაცხადა, რომ ის მხოლოთ იმ შემთხვევაში მიიღებს ამ კონგრესში მონაწილეობას, თუ დაესწრებიან წარმომადგენლები ევროპის ყველა უმთავრესი სახელმწიფოებისა, რომელთაც 1856 წლის პარიჟის ტრაქტატზე აქვთ ხელი მოწერილი.

ინგლისმა პირ-და-პირ მოითხოვა, რომ კონგრესის პროგრამმა დაწერილი იყვეს და კონგრესსის სხდომების დაწყებამდის წარედგინოს ეს პროგრამა ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებს დასამტკიცებელად.

პეტერბურგის ბირჟა, 15 მარტს:

(ხალხთა-შორის საგენტოსა)

		მან.	კაპ.
ლონდონი — —	$24\frac{5}{8}$	„	„
ამსტერდამი — —	125	„	„
ჰამბურგი — — —	212	„	„
პარიჟი — — —	258	„	„

შინაგანი სესხის ბილეთები 5%:

პირველი სესხის — —	225	—25
მეორე სესხის — — —	222	„

ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის —	95	—87
მეორესი — — — —	95	—50
მესამესი — — — —	95	—50
მეოთხესი — — — —	95	— „
აღმოსავლეთის — —	93	—25
ოქრო, ½ იმპერიალი —	7	—98

ომის ამბები

ომის შემდეგ

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„ბუშინ 7 მარტს, მმართებლობამ გაუგზავნა რუსეთის სამზღვარ გარეთელ ელჩებს ბერლინში, პარიჟში, ლონდონში და ვენაში ოსმალეთთან მორიგების პირობა, რათა ამ ელჩებმა აცნობონ ეს პირობა იმ მმართებლობაებს, რომელთანაც ისინი რუსეთის წარმომადგენელად არიან დანიშულნი. პეტერბურღში კი ამ პირობების გამოცხადებას დღე-დღეზე მოელიან.“

ჩვენ ვიცით, რომ ხსენებული პირობები 9 მარტს გამოცხადდა „მმართებლობის მოამბეში.“

—

როდესაც ვენგრიის დელეგაციებში მოლაპარაკება იყო მმართებლობის წი-

ფელეტონი

ამაოება

ამაოა მეცნიერება და განათლება, თუ ამითი კაცს ვერაფერი გაუნათლებია, ვერც სხვისი და ვერც თავისი ცხოვრება,—და თუ მას თავისი მსწავლულობა ვერაფერში ვერ გამოუყენებია თუ არ ბოსტონის და ადმირალის თამაშობაში, და იმასთანა საქმეში, რომლისთვისაც არავითარი საჭიროება არ იყო დაესრულებინა მას სწავლა ატესტატებითა არა თუ მაღალ სასწავლებელში, არამედ დაბალშიდაც.

—

ამაოა ჭკვიან კაცს რაიმე უფლება მიეცეს, თუ ამ თავის უფლებას მხოლოდ მასშიდ ხმარობს, რომ დღე სულ იძინოს და ღამე სულ ქაღალდი ითამაშოს, და არავის არ გაბედვინოს, რომ გამოაღვიძონ მანამ თითონ არ გამოღვიძება, როდესაც თვალები ძილით გაუსივდება და მზე დასავლეთისაკენ გაემგზავრება.

—

ამაოა თაოსნობა ძალად მობმული თავისა, მეტადრე მაშინ, როდესაც ის თავი უთაური რამ თავია.

ტყვილი იმედია, რომ ამ გვარმა თავმა ხეირიანად რაიმე განაგოს საზოგადოების ოჯახის მოურაობაში, ვინადგან ამ საქმისთვის საჭიროა იმისთანა ბუნებით მობმული თავი, რომელსაც შეეძლოს ნამდვილი ჭკვიანური თაოსნობა.

—

ამაოა მოურაობა იმ ორი მოურავისა, რომელთაგანი ერთი ბევრს ველარას არიგებს-რა, თავის უძლურების გამო, ხოლო მეორე თუმცა ჯერ კიდევ ყვავილოვანი, წითელ-ლოყა ახალ-გაზდაა მაგრამ თავის ზარმაცობის გამო არას დაეძებს რა მთელ სამოურაოში, თუ არ სრულად მიღებასა იმ ფულისას, რაც თავის სასარგებლოდ მისაღები ექვ.

—

ამაოა მიემატოთ ამათ ჯამაგირი, რომ მითომ რამე გააკეთონ, რადგანაც ისიც დიდად სატირალია და ჯამაგირსაც იღებენ ესენი დღევანდლამდი, და დიდად სასურველია, და სამართალიც იქნება, რომ სულ თუ არა ნახევარი მაინც აღარ მიეცეს ამათ მომავალ დროისთვის ჯამაგირი.

—

მოურავებო! მოურავებო!—შეხედეთ ღმერთსა! წაიკითხეთ ხოლმე ზოგჯერ სახარება პატიოსნებისა, ვალის და პირობის შესრულებისა, და მრავალ ამ გვარ კეთილი წურთვნისა...

ნადადებაზე, რომ იმას მიეცეს ხალხის წარმომადგენლებისაგან უფლება ომის საჭიროებისათვის 60 მილიონი გულდენის დახარჯვისა, (მოგეხსენებათ, რომ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡᲐ და ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲘᲡ დელეგაციებმა როსეთვემ ნება-რთვა მისცეს მმართებლობას), ამ დროს გრაფ ᲐᲜᲓᲠᲐᲡᲘᲡ სხვათა შორის შემდეგი სიტყვები უთქვამს ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ და ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ერთმანეთის დამოკიდებულებაზედ:

„უეჭველია, რომ თ. ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲘ არ იკისრებდა მომავალი კონგრესის თავსმჯდომარეობას, თუ ამ კონგრესსის მოვალეობად მარტო ის ჰგონებოდა, რომ იმას გადაეფურცლა და ისე ხმა-ამოუღებელად, გულუხილავად დაემტკიცებინა რუსეთსა და ᲝᲡმალეთს შორის შეკრული მორიგების პირობა.

„რაც შეეხება ჩვენს განწყობილობას ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲗᲐᲜ, მე შემიძლიან თამამად ვთქვა, რომ როგორც კერძოთ ჩემი განწყობილობა თ. ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲗᲐᲜ, აგრეთვე მთელი ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲘᲡ ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲗᲐᲜ მეგობრული განწყობილობაა. და იმედიცა მაქვს, რომ ეს ამგვარი ჩვენი თანხმობა და მეგობრობა შემდეგშიაც არ შეიცვლება.“

—

ᲐᲛ ᲖᲔᲛᲝ-ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚ ᲒᲠᲐᲤ ᲐᲜᲓᲠᲐᲡᲘᲡ სიტყვას ინგლისური გაზეთი „Times“ დიდ მნიშვნელობას აძლევს; ის ამბობს:

„ᲑᲠᲐᲤ ᲐᲜᲓᲠᲐᲡᲘᲡ სიტყვის ჰაზრი ის არის, რომ ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ დაეხმარება ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ, რომ რუსეთთან გახეთქილება მშვიდობიანად გათავდეს. საფიქრებელია, რომ ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ თავის ზნეობით გაელენას იხმარს რუსეთზე და ეცდება, რომ წარადგენინოს იმას კონგრესზე ყველა პირობები ᲝᲡმალეთთან მორიგებისა და რამდენათაც შესაძლებელი იქნება შეამსუბუქნოს იმას ეს პირობები.“

„თუ ეს ჩვენი მოსაზრება გამართლდა. ძლიან, უეჭველია, რომ ხელ-ახლად სისხლის-ღვრის ატეხას აღარ უნდა მოველოდეთ.“

—

ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „Голосъ“-ᲨᲘ დაბეჭდილია ხარკოვიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვატყობინებს, რომ 7 მარტს წასულან ამ ქალაქიდამ რკინის გზით ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐ და იმისი შტაბის უფროსი ᲢᲔᲔᲭᲘᲭ-ᲤᲐᲨᲐ, რომელთაც ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ ხონთქრის ხომალდი უცდის სტამბოლში წასაყვანათოო. წასვლის წინათ ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐᲡ მადლობა გამოუცხადებია რუსებისათვის კარგათ მეპყრობოდითო. ᲘᲡ გამოთხოვებია აგრეთვე ხარკოვში მყოფ ოსმალოს ტყვეებს და ავათმყოფ ტყვეებისათვის თამბაქო დაურიგებია.

ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „Times“-ᲨᲘ დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები რუსეთსა და ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ შუა ატეხილს უკმაყოფილებაზედ:

„მთელი ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ვალია მოსთხოვოს რუსეთს, რომ იმან კონგრესს წარუდგინოს გადასახედავად და დასამტკიცებელად ყველა მუხლები ᲝᲡმალეთთან შეკრულ მორიგების პირობისა. რუსეთს იმას კი არა სთხოვენ, რომ ამ საქმეში იმან ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ ანუ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ დაუთმოს, არამედ იმას, რომ იმან აღიაროს მთელი ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ დადგენილი წესები და დაემორჩილოს იმ პრინციპს, რომელიც 1870 წელს დამყარდა.“

—

„Daily Telegraph“-ᲨᲘ იწერებიან 6 მარტს სტამბოლიდამ:

„ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲛᲐ დიდი უკმაყოფილება გაანაცხადა პეტერბურღში იმის თაობაზე, რომ რუსის ჯარებმა ᲓᲘᲠᲓᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐ და ᲑᲝᲡᲤᲠᲘᲡᲙᲔᲜ გაიწიესო.“

—

ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲕᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ დაბეჭდილია შემდეგი ყურადღების ღირსი დეპეშა 6 მარტს პარიქიდამ მიღებული:

„ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ გამოუცხადა რუსეთს, რომ ის სრულიად თანხმაა ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ მოთხოვნილებაზე, რომ

შეხედეთ ღმერთსა!..... ᲘᲥᲝᲜᲘᲔᲗ ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜᲘ შეგნება თქვენის მოვალეობისა საზოგადოების წინაშე!

—

ᲐᲛᲐᲝᲐ ᲝᲠᲘ ანუ ᲝᲗᲮᲘ დეპუტატის ნაცვლად, როგორც ეს უწინ იყო, ᲝᲠᲛᲝᲪ-ᲓᲐ-ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ დეპუტატის აღმორჩევა, როგორც ეს დღეს არის,—იმ იმედით, რომ ქალაქის კეთილ მდგომარობა მით უფრო მეტათ წინწასულ იყო. ᲯᲔᲠ მოტყვილებულად რჩება ეს იმედი, ვინაიდგან უწინ ქუჩებში სიარული შეიძლებოდა დაბალ-ყელიან კალოშემითა; ხოლო ეხლა კი იმავ ქუჩებში კაცს უჭირს სიარული დიდ მაღალ-ყელიან კალოშებითაცა...

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ უშველოს ᲮᲐᲠᲐᲖᲝᲕᲡᲐ, რომელმაც იზრუნა ამ ჩვენ გაჭირებაზედ და ზომა აიღო არშინითა აქაური ქუჩების ტალახის სიღრმისა, და იმ ზომაზე შეუკვეთა რუსეთის ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲜᲢᲔᲑᲡᲐ ისეთი მაღალ-ყელიანი კალოშები, რომ მათი აქ გამოჩენა და საჭიროება სწორეთ სასირცხოთ უნდა იყოს ქალაქის მოურაობისათვის.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ უშველოს მას! და ღმერთმა მოახმაროს ის ხუთ-ხუთი მანეთი, რომელსაც ის გვახდევინებს ჩვენ ამ გვარ კალოშების თითო წყვილშიდა.

—

ᲐᲛᲐᲝᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ წოდება ხმოვანებად, ვინაიდგან ესენი ან სულ ხმას არ იღებენ ბევრ ხმის ამოსაღებელ საქმეზედაც და ან თუ რამეს ამბობენ, მაშინაც დალოცვილები იმ მამალს ეგბაძებიან, რომელმაცა სთქვა:

„მე კი ვიყივლებ და თუნდ გათენდეს და თუნდ არაო!“

ᲐᲛᲐᲡ კი ივიწყებენ ეს კურთხეულნი, რომ მამალმა ეს ოსტატობით სთქვა ასე, რადგანაც კარგად იცოდა, რომ იმის ყიყლიყოს მალე გათენება მოზდევდა.

ᲜᲔᲢᲐᲕ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ჩვენ ხმოვანების ენამჭევრულ ცარიელ ხმოვანობაც ის ბოლო მოზდევდეს, რა ბოლოც მოზდევს ხოლმე მამლის ცარიელ ყიყლიყოსა; და ᲜᲔᲢᲐᲕ ჩვენც მალე გაგვინათლდებოდეს ჩვენი ქალაქის გამგეობლობის შემაწუხებელი სიბნელე.

ᲐᲛᲐᲝᲐ ამოდენი უშველებელი სატანაკო ზალის წელიწადში შვიდას მანეთათ ქირაობა, თუ ეს ზალა ორი წელეწადი უნდებოდა ერთი ჭრიჭინის ბურთ-მეიდნობასა, და თუ ეს-ვე ზალა უნდება ეხლა მის გაუთავებელ ჭრიჭინსა, რომლითაც ის აღარ აცლის ხმის ამოღებასა არა თუ უხმოთა და ნელ-ხმიანთა, არამედ ბოხ და მაღალ ხმიანთა ხმოვანთაცა.

—

ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲭᲠᲘᲭᲘᲜᲐᲕ! ᲕᲘᲪᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ რამ ითმინე ამ ორ წელიწადში ხმოვანების მოსაიდუმლოედ რომ იყავი ამორჩეული!

ᲘᲯᲔᲥ და იყავ ზოგჯერ ჩუმათ შენ
ადგილზედა,
და ხრამდი რაც კი მოგხვდებოდა
ენის წვერზედა;
ᲔᲠᲗᲡ ᲑᲜᲔᲚ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲒᲬᲝᲜᲓᲐ სოროᲨᲔᲜ გამოხრული,
ᲘᲥ იყო შენი მუშაობა სულ ანუსხული.
ᲖᲝᲒᲯᲔᲠ გიყვარდა ბურთაობა დიდ
ზალაშიდა,
ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲭᲠᲘᲭᲘᲜᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ
ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲨᲘᲓᲐ.
ᲗᲣᲛᲪᲐ იყავი ნამცეცუნა, პატარა
კუკნა,
მაგრამ დიდები ათამაშე ლეკური ბუქნა.
ᲝᲠᲘ ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲘ ᲬᲘᲜ დაგიდგა სწავლულობითა,
და რომ ორივემ შენ გაჯობა ზარმაცობითა,
ᲒᲣᲚᲘ გაგეხსნა, გათამამდი, ჩაიცვი
ᲤᲠᲐᲙᲘ,
და ხან ᲭᲠᲘᲭᲘᲜᲘᲡ მაგიერად იწყე ᲭᲘᲙᲭᲘ.
ᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲐ მოედანზე ᲑᲣᲠᲗᲡ
რომ ისროდა,
ᲕᲘᲗ ᲛᲔᲭᲘᲡᲢᲝᲭᲔᲚᲡ ᲩᲣᲛᲐᲗ გულში
ეცინებოდა,—
ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲔᲠᲗᲐᲗ შენ რომ მარტო
ᲔᲢᲙᲔᲑᲝᲓᲘ,
ᲑᲣᲠᲗᲡ დაიჭერდი, და ორივეს მოერეოდი..
ᲔᲠᲗᲘ გაგექცა, რომ გაბეზრდა ჯამბაზობითა;
და რომ შესწუხდა, დაიღალა უსაქმობითა;
ᲛᲔᲝᲠᲔ დარჩა და შენს ᲭᲠᲘᲭᲘᲜᲡ ბანს
ის აძლევდა,
და ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲐ თქვენის მღერით
დროს ატარებდა.
ᲛᲐᲨᲘᲜ გამოჩნდა, ნამცეცუნავ, რომ
იყავ მარდი!...
ᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ მოეწონე და შეუყვარდი.....

ᲕᲘᲪᲘ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲛᲝᲠᲝᲛᲔ, მაგრამ უფრო ᲑᲔᲕᲠᲘ რამ ნახე და გაიგე; და ეხლა რომ შენგან გამოხრულ ფუტუროდან მოურიდებლივ შენ დაგითხოვეს და სხვა

რუსეთმა წარუდგინოს კონგრესს ყველა მუხლები თ. მალეთთან მორიგებისა. ბარმანია გადაწყვეტს—სახელდობრ რომელი მუხლები ამ პირობისა უნდა განიხილოს უეჭველად კონგრესმა და რომელი არა.“

—

„Indép. Belge“-ის პარიჟელი კორესპონდენტი გვარწმუნებს, რომ ყველა წარმომადგენლები ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებისა 29 მარტს შეიკრიბებიან ბერლინშიო და თვითონ კონგრესი კი 3 აპრილზე ადრე არ გაიხსნებაო.

საქართველო

ღლიური

*** ბასულს ორშაბათს ორს შესანიშნავ საგანზედ იყო ქალაქის რჩევაში მოლაპარაკება: საქონლის საკლავი შენობის აგებაზედ და ქალაქის წყაროებზედ და აუზებზედ.

პირველი საგნის შესახებ ქალაქის ბამგეობას მთავრობისაგან წინადადება მოუვიდა, რომ საქონლის საკლავი შენობა ქალაქ გარეთ უნდა გამართოთ სადმეო, და ამის გამო წინანდელ სხდომაში რჩევამ გარდაწყვიტა, რომ ნავთლულში ააშენოს ამისთვის სახლი. ბამგეობის წევრს უფ. ალხაზოვს მინდობილი ჰქონდა რჩევისაგან შეედგინა ანგარიში—თუ რამდენი ფული დაეხარჯება ქალაქს ამ სახლის ასაშენებლად. უფ. ალხაზოვის ანგარიშით, რომელიც ამ სხდომაზე წაიკითხა, გამოდის, რომ, თუ საფუძვლიან, სამუდამო შენობას ააგებს ქალაქი, ათი ათას მანეთამდინ დაიხარჯება და თუ დროებით, უბრალო, ხის შენობას, მაშინ კი ორი ათასი დაჯდებაო.

ბევრი ლაპარაკი ჩამოვარდა ამ საგნის შესახებ: ხმოვანმა ბაბანოვმა თქვა, რომ ნავთლულიდამ ხორცის მოტანა არ მოხერხდებაო, წვიმის დროს სიშინელი ტალახი დგას ნავთლულის გზაზე და გადმოტანა არ შეიძლებაო; ამას გარდა ზაფხულობით სიცხის გამო ხორცი აყროლდება, სანამ ქალაქში მოიტანდნენო. აჰის გამო ზოგიერთ ხმოვანებმა შეიტანეს წინადადება, რომ ისევ მტკვრის გამოღმა გამართონ სადმე საქონლის საკლავი ალაგი.

რჩევამ გადაწყვიტა: ბამგეობამ მოძებნოს მომავალ სხდომამდინ მტკვრის გამოღმა ნაპირზე ამ საგნისათვის მოთავსებული ალაგი და თუ ვერ მოიძებნა, მაშინ ისევ ნავთლულში უნდა ააშენონ ხსენებული საკლავი სახლიო.

ქალაქის ჰაუზებსა და წყაროებზე ხმოვანმა უფ. ალადათოვმა ილაპარაკა; იმან ჩამოთვალა ათი აუზი-რომელიც ქალაქის საკუთრება იყო. ერთ დროსაო, რომლითაც ხალხი სარგებლობდა, ჩინებული წყალი გამოდიოდაო და რომელნიც ახლა კერძო პირებმა დაისაკუთრესო. ბამგეობის წევრმა უფ. ალხაზოვმა თქვა, რომ ის ჰკრებს ამ საგანზედ ცნობებს; ბევრი აუზი გაფუჭებულა და შეიძლება ხელ-ახლად გაკეთდესო.

რჩევამ მიანდო ბამგეობას ქალაქის ძველი აუზების განახლების თაობაზე პროექტი შეადგინოს და იმას წარუდგინოს განსახილველად.

*** ამბობენ, რომ ახალი ეგზარხოსი საქართველოისა მაღალ-ყოველად სამღვდელო იოანნიკი ამ ჟამად ჭუთაისში არის და არა ბორში, როგორც გუშინ იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული.

*** ჭუთაისიდამ გვწერენ, რომ გასულ კვირას იქაურ ქართულ სცენის მოყვარეთა ჰქონიათ წარმოდგენა; უთამაშნიათ „ჭორაჟ დანდენ“, უფ. ბ. თუმანოვისაგან ფრანცუზული ენიდგან ნათარგმნი სამ-მოქმედებიანი კომედია მოლლიერისა, და ეოდეევილი „ეყალ-მაყალი ცოლსა და ქმარს შუა.“ ამბობენ, წარმოდგენა კარგათ წავიდაო.

*** იარმუკაში ამ ჟამად ფეხის-ალაგებს აკეთებენ.

კარგი იქნება, რომ ამისთანა ფეხის-

შეაბძანეს იქა, მესმის შენი გულ-დამწველობა... შენი ჭრიჭინი თუმცა გულს აბეზრებს, მაგრამ ბევრს, ბევრს სასირცხო და სამწუხარო ამბებს გვატყობინებს.

მართალია შენ ეხლა ყურს არ გიგდებენ, მაგრამ ზოგნი კი თავიანთი სვინდისის ტანჯვითა გრძნობენ, რომ შენ დღეს გამწარებული და ხმალ-ამოღებული ბევრ მართალ რამეს გვეჭრიჭინებ.

—შთავბოლოდ მიდის ჩვენი საქმეო.

—ბამოგვიცხადე შენა, ჩვენ საქმეებში გამოცდილო მოსაიდუმლეე,—ეს შენ სხვებზე უფრო კარგად უნდა იცოდე, და კიდეც ცხადია, რომ ეს ასეა.

— არც თავი გვივარგა და არც ბოლოო!

— ყური უგდოთ ჩვენს საქმეს, თორემ შევრცხვებითო!

მჯერა, მჯერა, ჩვენო გამაბრთხილებელო და გულ-დამწველო! ვფიცავ ჩვენ სამოურაო ფულების დავთრებსა, რომლებშიდაც ბევრი ფული ჩაწერილა და დღევანდლამდი მათ შესამოწმებლად პატრონი არ გამოჩენილა; ვფიცავ ჩვენ სამოქალაქო ნისიების სიასა, რომლის ჯამი ყოველ დღე იზდება უპატრონობის გამო; ვფიცავ ბევრ ამ გვარ ჩვენი საზოგადოების შეკრულ-შეუკრავ და შეუმოწმებელ საქმეებსა; და ყოველ წლიურ ჩვენ შემოსავალ-გასავლის მცნებასა;— რომ მართალია, შევრცხვებით, დიდად შევრცხვებით, თუ ჩვენი მთავარ-მოურავის „ნანინანისაგან“ მიძინებულნი მალე არ გამოიღვიძებენ, დროზედ საქმეს ხელს არ მოჰკიდებენ და არ შეიტყობენ რა ამბებია იმ დიდ სოროში..... სირცხვილსა ვსჭამთ, დიდ სირცხვილსა.....

—

ამაოა მარტო სხვის დაძრახვა და ლანძღვა, თუ კაცს თითონ თავისი მოვალეობა ვერ შეუსრულებია, და თუ ამოდენ ქალაქის ძზრუნველთა, მსწავლულთა, გამოცდილთა, პატიოსანთა და პატივცემულთა ვერა გაურიგებიათ-რა ამოდენ ფულის ხარჯითა ქალაქის გამგებლობაზედ.

—

ისიც ამაოა, რომ ფული შეგროვდა საწყალ მოხელე კაცების ხელის გასამართავად და რომ ამ ჰაზრით დაარსდა აქ რაღაც ამხანაკობა, რომელსაც აგერ ერთი წელიწადია რაც სძინავს ლეტარგიულის ძალითა თავისი ზედამხედველებითა.

ამ ამხანაკობას თავის ძილში უნახია ბევრი სიზმრებიო: მითომ რაც ფული მიუღია, სულსხვებისათვის მიუსესხნია და ამ მოვალეებს თავის დროზედ ვადის გარდახდის ნაცვლად ვექსილები გამოუცვლიათ; მითომ სარგებლის შემოტანა ზოგიერთ მათგანს დავიწყებიათ; მათომ ერთი ვიღაც თვალ ჟუჟუნა, ჯიბე ცარიელი და ლოყებწითელა მზე-ჭაბუკიანი; გამოსჩენია მას გამგეთ და პატრონათ მითომ მის დახლიდარს ხელში ცარიელი დახლი დარჩენია; და მის მზრუნველსა მითომ ამ ამხანაგობისთვის რაღაც სარმაი- ერთი წლის წინეთ ჩასაბარებელი დღესაც სრულად არ ჩაუბარებია...სულ ეს, რასაკვერელია, სიზმრებია და ხომ მოგეხსენებათ სიზმარი ძნელი დასაჯერებელია. მაგრამ ეს კი მართალია, რომ ამ ამხანკობაში ბევრისაგან ფული შევიდა და ფულის ნაცვლად დაბეჭდილი ქაღალდი დარიგდა, სულ ხელ-მოწერილი და სულ ნომრიანი..

ამბობენ, ეს ქაღალდი წამლათ გამოდგებაო: მცხარე ძმარში უნდა დაილბოსო კიდევ ერთი წელიწადი, და მერე ისევ მცხარე ძმარში უნდა ჩაიდოსო, და იქიდგან ამოღებული კარგი იქმნება შუბლზედ შემოსადებლათაო, როდესაც ფულის შემტანსა და ფულის მაგიერ იმ წამლიან ქაღალდის მიმღებსა თავი ასტკივა ჯავრითაო, თუ თავის ფული ველარ დაინახა თვალითაო...

—

ოჰ! რაოდენ ამ გვარ ამაოებით, ამ გვარ სამწუხარო ამბებით სავსეა ჩვენი საზოგადოება, ჩვენი საიმედო ახალგაზდა, ნასწავლი კაცების ცხოვრება!

ძილი, ქაღალდის თამაში, ჯამაგირის მიღება, სმა ჭამა, უსაქმობა, კიდევ ძილი, უზრუნველობა, უთაურობა და ისევ ქაღალდის თამაში, იარალაში, ადმირალი, ბოსტონი და ისევ ძილი და ძილი.....

აი ჩვენი ცხოვრება, ჩვენი სიზოგადო მომქმედება!

ამ ჩვენ ქალაქში ეს კი ასე გახლავთ და თქვენის ქალაქის კი რა მოგახსენოთ...

ქორტი

ჭუთაისი, 10 მარტს.

ალაგები ზოგიერთ სხვა ქუჩებშიაც გაიმართოს, როგორც მაგალათად შუა-ბაზარში, რომელიც მუდამ აყროლებულია უწმინდურობით, ბალაეინის პროსპექტზე, ქუკიაში და სხვ. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამისთვისაც მადლობა უნდა უძღვნათ ღმერთს...

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
ᲐᲜᲢᲝᲜ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

1) ᲓᲔᲓᲐ ᲔᲜᲐ, Ი ᲑᲝᲒᲒᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, ფასი 45
2) ᲐᲜᲣᲙᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.
3) ᲪᲝᲚᲘ ᲕᲘᲢᲘᲠᲝ, ᲗᲣ ᲤᲣᲚᲘ? კომედია აღ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) ᲛᲔᲤᲔ ᲚᲘᲠᲘ, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

(5—5)

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ
„ᲪᲝᲚᲘ ᲕᲘᲢᲘᲠᲝ, ᲗᲣ ᲤᲣᲚᲘ?“
ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲐᲦ. ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡᲐ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ: ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ—ᲧᲕᲔᲚᲐ წიგნის მაღაზიებში და ᲐᲚᲔᲥᲡ ᲯᲘᲛᲨᲔᲠᲝᲕᲗᲐᲜ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ—ᲘᲝᲡᲔᲑ ᲙᲣᲖᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ—ᲓᲐᲕᲘᲗ ᲭᲔᲠᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲥᲐᲗᲣᲑᲜᲘᲡ ᲨᲣᲤᲩᲢᲨᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲡ—ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲐᲠᲣᲬᲝᲕᲗᲐᲜ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ—ᲘᲐᲙᲝᲑ ᲝᲩᲮᲐᲜᲔᲖᲝᲕᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲕ. ᲪᲔᲠᲔᲕᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲝᲗᲝᲨᲘ—ᲔᲚᲘᲡᲑᲐᲠ ᲑᲐᲑᲐᲚᲝᲕᲗᲐᲜ, ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲡ—Თ. ᲘᲕ. ᲗᲐᲥᲗᲐᲥᲝᲕᲗᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲨᲔᲗᲡ—Თ. ᲜᲘᲙ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲛᲔᲯᲕᲠᲘᲡᲮᲔᲕᲡ—ᲛᲐᲡᲬ. ᲛᲝᲡᲔ ᲜᲐᲗᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲖᲝᲠᲨᲘ—ᲡᲢ. ᲖᲝᲛᲝᲔᲕᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲜ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲐᲕᲡᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ, წესდების § 83 ის და ზედამხედველ კომიტეტისაგან 4 მარტს 1878 წელს დადგენილის გადაწყვეტილების ძალით, მოიწვევს უფალთ ბანკის დამაარსებლებს მე-IV ჩვეულებრივს საზოგადო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია ამ 1878 წლის 25 აპრილისათვის დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში.

ᲑᲐᲜᲘᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘ:

1). ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ და დამტკიცება თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის 1877 წლის შემოსავალ-გასაეალი ანგარიშისა.

2). ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ იმ საყოველთაო სასარგებლო საჭიროებისა, რომლისთვის უნდა იქმნეს მოხმარებული ის 10,322 მანეთი და 61 კაპეიკი, რომელიც, წესდების § 90 ძალით, წლიური შემოსავლის 45%-დგან შესდგა.

3). ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔᲓ, რომ ზოგიერთი მუხლები თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წესდებისა (§§ 6, 12, 15, 18, 19, 20, 22, 28, 39, 50, 66 და 83)

4). ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ უძრავი მამულების დაფასების თაობაზე ინსტრუქციის პროექტისა.

5) ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ 68, 77, 78, 82, 83, 84, 87 და 88 მუხლების შეცვლაზედ, რომელიც, 16 მაისის 1876 წლის საზოგადო კრების გადაწყვეტილების თანახმად, წარდგენილნი იყვნენ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗ მინისტრთან დასამტკიცებლად.

6). ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗ მინისტრის უარის თქმაზედ, რომ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ეალი პრიკაზიდამ თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში გადატანილ იქმნეს.

7). თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფასებლებზედ, წესდების § 64-ის თანახმად, იმ დამფასებელთ კომისიის წევრთა სამსახურის ვადაზედ, რომელნიც 1876 წლის საზოგადო კრებისაგან იყვნენ არჩეულნი.

8). ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔᲓ, რომ თფილისის თავად-აზნაურთა ბანკმაც მიიღოს მონაწილეობა რუსის საადგილ-მამულო კრედიტის წარმოსადგენელთა კრებებზედ.

9) ᲘᲛᲐᲖᲔᲓ, რომ ბანკის დაამარსებელ-წევრებად მიღონ ის თავად-აზნიურნი, რომელთაც მიიღეს გლეხების განთავისუფლებისათვის ფული და რომელნიც მოისურვებენ, რომ საწილო ფული ერთად შემოიტანონ ბანკში.

10) ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐ ზედამხედველ კომიტეტის სამის წევრისა, რომელთაც უნდა დაიჭირონ ადგილი: თ. რევაზ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ (სიკვდილის გამო), თ. ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ძის ᲑᲔᲑᲣᲗᲝᲕᲘᲡᲐ (უარი სთქვა) და ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲠᲝᲖᲘᲡ ძის ᲣᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡᲐ (ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ არ იმყოფება).

11) თ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲖᲐᲐᲚᲘᲡ ძის ᲩᲝᲚᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მაგიერად, რომელიც წლით გამოდის ბანკის გამგეობიდამ, ახალი წევრის (დირექტორის) ამორჩევა.

12) ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐ ბანკის დამფასებელისა, თ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲖᲐᲐᲚᲘᲡ ძის ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ მაგიერად, და აგრეთვე დამფასებლების ორი კანდიდატისა.

13) ᲘᲛᲘᲡ თაობაზედ, რომ საყოველთაო-სასარგებლო საჭიროებისათვის დანიშნულ ფულებიდამ „ᲘᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲝᲒᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲜᲐᲒᲝᲑᲐᲡ“ ბანკმა 2,000 მანეთი ასესხოს.

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ᲖᲝᲠᲘ . .	11	58	9	43	2	40	1	33
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	1	29	11	57	3	92	2	18
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ. . .	1	44			4	42	2	46
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია.	7	41			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			8	57	4	76
ᲨᲝᲗᲘ. . .	9	40			9	75	5	42
ᲨᲝᲗᲘ . .	9	13						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ. .	1	18	ღამე		3	98	2	21
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	5	39	1	37	5	84	3	24
ᲖᲝᲠᲘ . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ სიტყვა თფილისიდამ:		
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲨᲝᲗᲡ . .	1	—
ᲖᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗს, სიღნაღს	-	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲠᲣᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და საფრანგეთში.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, რუსეთს—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ კვირას გარდა. ზუგდ. ᲝᲠᲨ. და სამშ. ᲠᲖᲣᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. და ᲝᲠᲨ. ᲙᲐᲮᲔᲗᲡ—სამშ. და შაბ. ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: თფილისისა და ᲨᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲠᲖᲣᲠᲖᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. და ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.

	მ.	კაპ
ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲒᲜᲐᲠᲘᲡᲔᲗᲨᲘ და სამზღვარ გარეთ:		
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ	4	
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	8	

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
თფილისი, 15 მარტი.		
ᲤᲥᲕ. თეთ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗ.	1	50
ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . .	1	30
ᲥᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	1	35
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲠᲔᲕᲔᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	6	20
— ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ . .	7	40
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗᲘ.	10	—
ᲛᲐᲢᲧᲚᲘ თუᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗ.	8	20
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ. .	4	30
ᲐᲑᲠᲐᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ.	2	—
ᲥᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	6	50
ᲥᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	8	—
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲣᲗ.	13	40
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	1	80
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ .	1	8
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘ .	—	13
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	70
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	6	20
ᲧᲐᲕᲐ ᲒᲠᲝᲒᲕᲐᲚᲘ, ᲒᲘᲠᲒ. .	—	7
ᲮᲣᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ.	12	—
ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ, ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲤᲣᲗᲘ	7	8

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

	მან	კაპ
ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.	1	50
ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ.	1	30
ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: მინკევიჩი—ᲮᲘᲠᲣᲠᲒ, ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—შინაგ. ავათმყ.	1	35
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ და მარქაროვი— შინაგ. ავათმყოფობის,	6	20
ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘ—თვალის.	7	40
ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—შინაგანი ავათმყოფ, ᲛᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ—ᲕᲔᲠᲘᲣᲚᲘᲡ.	8	20
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი ავათმყოფობისათვის.	4	30
ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ და ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘ—შინაგ. ავათმყოფ. და მინკევიჩი—ᲮᲘᲠᲣᲠᲒ.	10	—
ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ და მარქაროვი—შინაგანი ავათმყოფობის., ᲛᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ—ᲧᲣᲠᲘᲡ და ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲡ ავათმყოფ. და ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘ—თვალის.	8	20
	4	30
	2	—
	6	50
	8	—
	13	40
	1	80
	1	8
	—	13
	7	70
	6	20
	—	7
	12	—
	7	8

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Марта 1878 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს ᲛᲔᲡᲮᲘ.